



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'ფ. შენგელია'.

ფრიდონ შენგელია

„---10---“ ---07--- 2017 წელი

ეგზ N2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის

2016 წლის ფინანსური აუდიტის

ანგარიში N 36/36

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
პირობითი აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძვლები	4
1. დებიტორული დავალიანება.....	4
2. არაფინანსური აქტივების მართვა.....	5
დამატებითი ინფორმაცია	5
1. ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების მდგომარეობა	5
1.1 ბიუჯეტის დაგეგმვა.....	5
1.2 ბიუჯეტის 12 თვის შესრულება (სამინისტრო).....	6
1.3 ცვლილებები ხარჯთაღრიცხვაში.....	7
1.4 ბიუჯეტის 12 თვის შესრულება (აპარატი)	7
1.5 დეკემბრის თვეში გაწეული ხარჯების შედარება წინა თვეების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან.....	7
2. შრომის ანაზღაურება	8
3. შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება	10
4. საწვავი.....	11
პირობითი დასკვნა.....	12

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს (ორგანიზაციული კოდი 28 010101 - აპარატი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

საგარეო საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI). ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს

და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ აუდიტორებმა მიიღონ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ბუღალტრული ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ბუღალტრულ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ბუღალტრულ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის.

მიგვაჩნია, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების გაცემის საფუძვლები

1. დებიტორული დავალიანება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აპარატის ბალანსზე რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 20 192 ლარი. აქედან 2 666 ლარი წარმოადგენს წინა წლებში წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებებს. მათ შორის: 1 614 ლარი - მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ (2004 წ.), 1 039 ლარი - მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით (2004 წ.) და 13 ლარი - სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები (2006 წ.).

აპარატის მიერ არ არის გატარებული შესაბამისი ღონისძიებები (გარდა დებიტორების მისამართზე თანხის დაფარვის შესახებ წერილების გაგზავნისა) მივლინებასთან დაკავშირებულ დებიტორული დავალიანებების ამოსაღებად. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 26-ე მუხლის 31-ე პუნქტის თანახმად, დებიტორული დავალიანებების თანხები, რომელთა ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, ექვემდებარება ჩამოწერას არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე (8200) ასახვით.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების დანაკლისებით მოთხოვნას, აპარატის მიერ დავალიანების ხარჯებში ჩამოსაწერად ქმედითი ღონისძიებები არ გატარებულა.

2. არაფინანსური აქტივების მართვა

აპარატში არასრულყოფილად ხორციელდება არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი. კერძოდ, თანამშრომლებზე აქტივების დროებით სარგებლობაში გადაცემისას, მათთან არ ფორმდება ხელშეკრულებები სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, რაც გათვალისწინებულია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-13 პუნქტით.

დამატებითი ინფორმაცია

1. ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების მდგომარეობა

1.1 ბიუჯეტის დაგეგმვა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი ინფორმაცია (საბიუჯეტო განაცხადი) მომავალი წლების ბიუჯეტების შესახებ შეესაბამება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით მისთვის განსაზღვრული ასიგნებების ზღვრულ მოცულობას.

სამინისტროს 2016 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა, საბიუჯეტო განაცხადის შესაბამისად, შეადგინა 110 000 000 ლარი, ხოლო საშტატო რიცხოვნობამ - 760 ერთეული.

12 თვე	2016 წლის ბიუჯეტი (2800)	2016 წლის ბიუჯეტი (2800) დაზუსტებული მთ.განკარგულებებით
საგარეო საქმეთა სამინისტრო	110 000 000	107 668 594

მომუშავეთა რიცხოვნობა	760	760
ხარჯი	109 048 000	106 120 262
შრომის ანაზღაურება	7 714 000	8 042 935
არაფინანსური აქტივების ზრდა	952 000	1 470 000
ვალდებულების კლება	0	74718

სამინისტროს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს ასიგნება 110 000 000 ლარის ოდენობით, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 107 668 594 ლარი. დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა გამოწვეულია შემდეგით:

- 113 910 ლარი საქართველოს მთავრობის განკარგულებით (საიდუმლო განკ.N10-ს 31.03.2016) გამოყოფილია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან;

- 526 046 ლარი მთავრობის განკარგულებით (N1106 13.06.2016) გამოყოფილია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაზეთებში საქართველოს მხარდამჭერი სტატიების, რუბრიკებისა და პუბლიკაციების განთავსების მიზნით.

-, „ზოგიერთი ღონისძიებების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 3 აგვისტოს N1585 განკარგულებით სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნებები შემცირებულია 3 000 000 ლარის ოდენობით, შემცირება შეეხო ქვეპროგრამას „დიპლომატიური დაწესებულებების დაკომპლექტებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის ხარჯებს“ (2801010201კოდი).

-28 638 ლარი მთავრობის განკარგულებით (N1590 3.08.2016) გამოყოფილია საქართველოში დაგეგმილი ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით.

1.2 ბიუჯეტის 12 თვის შესრულება (სამინისტრო)

კოდი	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	ბიუჯეტის შესრულება	გადახრა დაზუსტ. და შესრ. %
28 00	110 000 000	107668594	107108153	0.5
28 01	109 615 000	107316594	106781811	0.5

1.3 ცვლილებები ხარჯთაღრიცხვაში

სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების საფუძველზე პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხები გადანაწილებულია ცხრამეტჯერ, მათ შორის, ერთი ცვლილება გამოწვეულია „ზოგიერთი ღონისძიებების გატარების თაობაზე საქართველოს მთავრობის N1585 განკარგულების საფუძველზე (N1585 3.08.2016), სამი ცვლილება - სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფით, თხუთმეტი ცვლილება - საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებით (ჯამში 5 076 032 ლარი, 4.6 %) და პროგრამებს შორის თანხების გადანაწილებით (ჯამში 33 000 ლარი, 0.02%).

1.4 ბიუჯეტის 12 თვის შესრულება (აპარატი)

	აპარატი	გეგმა	ვალდებულება	რესურსი	მოთხოვნა	გადახდა
0	ჯამური	16,040,684.09	15,800,277.33	240,406.76	15,618,741.30	15,618,741.30
2	ხარჯები	14,495,966.03	14,263,946.39	232,019.64	14,082,410.36	14,082,410.36
2.1	შრომის ანაზღაურება	7,884,000.00	7,834,000.00	50,000.00	7,816,765.57	7,816,765.57
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,470,000.00	1,461,612.88	8,387.12	1,461,612.88	1,461,612.88
33	ვალდებულებების კლება	74,718.06	74,718.06	0.00	74,718.06	74,718.06

საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატი (ქვეპროგრამა 28010101) განეკუთვნება მართვისა და რეგულირების ტიპის ქვეპროგრამას.

1.5 დეკემბრის თვეში გაწეული ხარჯების შედარება წინა თვეების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან

ცენტრალური აპარატი	დეკემბერი	11 თვის საშუალო ხარჯი	დეკემბრის თვის შეფარდება 11 თვის საშუალო ხარჯთან
--------------------	-----------	-----------------------	--

<i>შრ. ანაზღაურება</i>	910,304	627,86	145%
<i>საქონელი და მომსახურება</i>	642,671	474,596	135%
<i>სხვა ხარჯი</i>	16,343	1,314	1243%
<i>არაფინანსური აქტივების ზრდა</i>	550,697	82,81	665%

-შრომის ანაზღაურების მუხლში ხარჯის 45%-იანი ზრდა ძირითადად გამოწვეულია დეკემბრის თვეში პრემიის გაცემით.

-საქონელი და მომსახურების მუხლში ხარჯის 35%-იანი ზრდა ძირითადად გამოწვეულია დეკემბრის თვეში შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემიის გაცემით.

-სხვა ხარჯის მუხლში - დეკემბრის თვეში დაზღვეულია სატრანსპორტო საშუალებები.

-არაფინანსური აქტივების ზრდა - დეკემბრის თვეში გადახდილია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის N1235 განკარგულების შესაბამისად შეძენილი ლიცენზირებული პროგრამა „microsoft“-ის თანხა.

2. შრომის ანაზღაურება

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს N1693 განკარგულებით აპარატის საშტატო რიცხოვნობა განსაზღვრულია 350 ერთეულით. მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის N1039 განკარგულებით საშტატო რიცხოვნობა გაზრდილია 11 ერთეულით, ხოლო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N2651 განკარგულებით - 15 ერთეულით და შეადგინა 376 ერთეული.

საანგარიშო პერიოდისათვის თითოეულ თანამშრომელზე პრემიის მუხლით გაცემული სახსრების მოცულობა და გაცემული პრემიის რაოდენობა არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს.

მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის N01-222 ბრძანებით აპარატის მოსამსახურეებისათვის წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში განსაზღვრულია ყოველთვიური დანამატი, რაც თავისი შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს ვიდრე დანამატის.

სამინისტროს მიერ დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ საშტატო რიცხოვნობასა და წლის განმავლობაში რეალურად დასაქმებულთა რიცხოვნობას შორის სხვაობა (საშტატო რიცხოვნობა 376, რეალურად დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა - 286), მათი განმარტებით, გამოწვეულია შემდეგით:

-დიპლომატიურ სამსახურში მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად დაწესებულია თანამდებობის პირთა როტაცია - სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირთა ურთიერთშენაცვლება.

-როტაციის ფარგლებში ხორციელდება დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში პირთა სამუშაოდ მივლინება ცენტრალური აპარატიდან ან რეზერვიდან და დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში სამუშაოდ მივლინებულ პირთა გამოწვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

-როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეულმა პირმა მომდევნო როტაციის წესით სამუშაო მივლინებამდე სამინისტროს ცენტრალურ აპარატში უნდა იმუშაოს არანაკლებ ერთი წლისა. ამ ვადაში ითვლება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში ყოფნის დრო. თუმცა საჭიროების შემთხვევაში მინისტრი უფლებამოსილია შეამციროს აღნიშნული ვადა.

-როტაციის, გადაყვანის ან უწყებიდან პირის წასვლის შედეგად სამინისტროს ცენტრალურ აპარატში წარმოქმნილი ვაკანტური დიპლომატიური თანამდებობის შევსება ხდება საზღვარგარეთ როტაციიდან დაბრუნებული დიპლომატიური თანამდებობის პირის დანიშვნით პრიორიტეტულად. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როტაციიდან ვადის გასვლის გამო დაბრუნებული დიპლომატიური თანამდებობის პირი უნდა დაინიშნოს შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. ასეთი შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში დიპლომატი ჩაირიცხება დიპლომატიური სამსახურის რეზერვში.

იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური აპარატის შესაბამისი ვაკანსია არ შეივსო როტაციიდან დაბრუნებული პირის დანიშვნით, ვაკანსიის წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში შესაძლებელია გამოცხადდეს ღია საჯარო კონკურსი.

შრომის ანაზღაურება (12 თვის საკასო ხარჯი)	სამინისტრო 2800	ცენტრალური აპარატი
2016 წ.	7 970 870	7 816 765
თანამდებობრივი სარგო		4 458 959
პრემია		1 305 825
დანამატი		2 051 980

საანგარიშო პერიოდისათვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე პრემია ძირითადად გაცემულია ხუთჯერ, აქედან სამჯერ - უქმე დღეებთან დაკავშირებით.

3. შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება

სამინისტროს აპარატის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა აჭარბებს საშტატო რიცხოვნობის 2%-ს, თუმცა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N166 დადგენილებით, საგარეო საქმეთა სამინისტროზე არ გავრცელდა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და აპარატის შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 80 ერთეულით. ფაქტობრივად დასაქმებულთა რაოდენობამ 2016 წლისათვის საშუალოდ შეადგინა 75 ერთეული.

შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო შრომის ანაზღაურება არ აღემატება აპარატის შტატით გათვალისწინებულ ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომლების საშუალო შრომის ანაზღაურებას.

შრომის ანაზღაურება (12 თვის საკასო ხარჯი)	სამინისტრო 2800	ცენტრალური აპარატი
2016 წ.	1 090 227	926 966
თანამდებობრივი სარგო		712 424
პრემია		214 542

4. საწვავი

სამინისტროს 2016 წელს ბალანსზე ერიცხება 38 სატრანსპორტო საშუალება. აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებებზე 2016 წლის განმავლობაში მოხმარებული საწვავის საკასო ხარჯი შეადგენს 109 010 ლარს (79 558 ლიტრი, მ.შ. ბენზინი - 73 563 ლიტრი, დიზელი - 5 995 ლიტრი). ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ბრძანებით განსაზღვრულია საწვავის ლიმიტი, რომელიც შესაბამისია საწვავის ხარჯთან. სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მახასიათებლები შესაბამისობაშია "სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესით" განსაზღვრულ კრიტერიუმებთან.

"საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების მე-6 პუნქტის თანახმად, 2016 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ით. აღნიშნული შემცირება აპარატის მიერ განხორციელებულია მხოლოდ 18%-ით (2016 წ.- 109 010 ლარი, 2014 წ. -133 327 ლარი). აღნიშნულთან დაკავშირებით დასაბუთება წარდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში (წერილი N01/24457 28.06.2016).

პირობითი დასკვნა

აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, გარდა იმ შესაძლო ეფექტისა, რომელსაც მოახდენდა პირობითი დასკვნის გაცემის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამინისტროს აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

უფროსი აუდიტორი



მანანა ღვინაძე

უფროსი აუდიტორი



ნანა ვაჩაძე